

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსტეტი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი



საკონფერენციო თემა:

**„რამდენად შესწევს უნარი, ერთის მხრივ ნატოს, ხოლო მეორეს მხრივ საქართველოს, გამოიყენოს „შესაძლებლობის ფანჯარა“ ინტეგრაციისთვის?“**

ავტორი: ნინო ციხელაშვილი

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების მე-4 კურსის სტუდენტი

*სტუდენტური კონფერენცია „საქართველო და ნატო – გამოწვევები და  
სამომავლო პერსპექტივები“  
23-24 დეკემბერი, 2020*

## შესავალი

აშკარაა რომ ყარაბაღის კონფლიქტის თუნდაც ფიქტიურმა დასასრულმა ახალი პოლიტიკური დღისწესრიგი დააყენა რეგიონში. რუსეთის ფედერაციის შუამავლობით, 9 ნოემბერს კონფლიქტის მონაწილე მხარეების წარმომადგენლები შეთანხმდნენ ხელი მოეწერათ ხელშეკრულებაზე [„ცეცხლის შეწყვეტის“](#) შესახებ, რომლის მიხედვითაც: **აზერბაიჯანი** მიიღებდა იმ ტერიტორიებს რომლებიც ბრძოლის შედეგად საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარეს, სომხეთი მათ დამატებით ასევე უთმობდა სამ რეგიონს და „ყოფილი ავტონომიის გარშემო მდებარე 7 რაიონს“ **სომხეთი**, კი რომელიც კარგად მომზადებული სცენარის-(აზერბაიჯანი მთელი ათწლეულების განმავლობაში ემზადებოდა ტერიტორიების სამხედრო ინტერვენციით გზით დაბრუნებისთვის,რაც ნათლად გამოჩნდა მათ მზადყოფნასა და ორგანიზებულობაში უშუალოდ ომის მიმდინარეობისას-თავის მხრივ კი ამ მოვლენამ წახალისა ძალადობრივი გზით კონფლიქტის მოგვარება,) დაუცველ პოზიციაში მყოფ მოთამაშეს თანხმობა უნდა განეცხადებინა შემოთავაზებულ პირობებზე- „სომხებს დარჩათ მხოლოდ ყარაბაღის ყოფილი ავტონომიური ოლქის უმეტესი ნაწილი“. თუმცა, მთელს მოცემულობაში, განსაკუთრებით საყურადღებოა რუსული სამხედრო წარმომადგენლობის ზრდა. ზავის მიხედვით, რუსეთის სამშვიდობო ძალებმა, რომლებიც განლაგდნენ ‘ლაჩინის კორიდორის ‘ გასწვრივ უნდა უზრუნველყონ სტატუს კვოს შენარჩუნება დაპირისპირებულ მხარეებს შორის.

მნიშვნელოვანია მხედველობაში ვიქონიოთ, საქართველო-ოკუპირებულ ტერიტორიებზე განთავსებული **სამხედრო ინფრასტრუქტურა** (მე-7 და მე-4 სამხედრო ბაზები, აფხაზეთსა

და ცხინვალის რეგიონში) და დისლოცირებული პერსონალი, რომლებიც მოქმედებენ კრემლის დირექტივების შესაბამისად. აქტიურად მიმდინარეობს წვრთნები და მიმდინარე მოვლენებს აქვს [დინამიური](#) ხასიათი. სომხეთში, გიუმრის 102-ე სამხედრო ბაზა, სადაც რუსეთი გეგმავს რომ გააორმაგოს წარმომადგენლობა. 2020 წლის გამორჩეული და მასშტაბური წვრთნა (80,000 სამხედრო; 250 საბრძოლო

ტანკი; 450 ჯავშანმანქანა და 200 საარტილერიო ნაწილი) „კავკაზ 2020“, ჩატარდა. ორგანიზატორების განცხადებით, ღონისძიების მთავარი მიზნები იყო „რუსეთის შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის შეფასება“ და ასევე „ტერორიზმის საწინააღმდეგო საშუალებების გამოცდა“. მათივე შეფასებით, წვრთნებს ჰქონდა „თავდაცვითი ხასიათი,“, რეალურად კი ‘კონტრშეტევითი’ იყო. მსგავსი ქმედებით, კრემლს სურს გააძლიეროს ე.წ „მარიონეტული“ ერთეულების თავდაცვითი შესაძლებლობები და შემდეგ საკუთარი მიზნების განსახორციელებლად გამოიყენოს, პირდაპირ თუ ირიბად. დამატებით, სომხეთისა და აზერბაიჯანის სახით შეიძინა პოლიტიკური ბერკეტებიც და შედეგად გავლენის სფერო გაფართოვდა.

რუსი სამშვიდობოების შეიარაღების განხილვა კიდევ ცალკე საკითხია და ბუნდოვანია: რამდენად შეესაბამება არსებული აღჭურვილობა („საარმიო ავიაციის მი-8 და მი-24 ტიპის შვეულმფრენები, ორლან-10 ტიპის სადაზვერვო დრონები. რუსული სახმელეთო-ბტრ-82ა ტიპის ჯავშანტრანსპორტიორებით, „ტიგრის“ ტიპის ქვეითთა ყველგანმავალი ჯავშანმანქანებით,“) მათ სამოქმედო მანდატს.

საბოლოო ჯამში, [რუსული სამხედრო კოტინგენტი](#) შემდეგი სახის წარმომადგენლობით ხასიათდება რეგიონში:



წყარო: [Asia Times](#)



წყარო: [Ocnus.net 2017](#)

## პოსტ-კონფლიქტური გარემოს დახასიათება

პოსტ-კონფლიქტური გარემოს დახასიათებისას აღსანიშნავია, რომ კრემლს სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოში უკვე ყავს წარმოდგენილი სამხედრო კონტინგენტი (სიას აზერბაიჯანიც დაემატა); რუსული საჯარისო ნაწილების ყოფნას აქვს დესტრუქციული ხასიათი როგორც ეროვნულ ასევე რეგიონალურ დონეზე; საქართველოს გარშემო არსებული სივრცე არის მილიტარიზებული და ქვეყნის კაპიტულაციამდე (რაც გულისხმობს ევრო-ატლანტიკურ კურსზე უარის თქმა) ამის არსებობის გარანტი ჩრდილოელი მეზობელი იქნება, აქტიურად მიმდინარეობს „ჰიბრიდული ომი“ რაც ქვეყნის პროდასავლურ ორიენტაციას აფერხებს და ქართულ მოსახლეობას პოლარიზებულს ხდის. ყარაბაღის მეორე ომის შემდეგ გამოჩნდა თურქეთიც, თითქმის საუკუნის შემდეგ, რომელმაც რუს ‘კოლეგებთან’ ერთად პატრულირება უნდა მოახდინოს.

ორი პრინციპულად მნიშვნელოვანი ფაქტორი გამოიკვეთა, სომხეთი პროდასავლური კურსის გამო დაისაჯა რუსეთის მიერ და უფრო მეტად დამოკიდებული გახდა მასზე, ხოლო რაც შეეხება საქართველოს ის რჩება დემოკრატიული პრინციპების ერთგული თუმცა „ყარაბაღის გაკვეთილების“ ფონზე მნიშვნელოვანი საფრთხის ქვეშაა. დასჯის პოლიტიკა, ქვეყნისთვის ცნობილი რეპერტუარია, განსაკუთრებით აგვისტოს ომის შემდეგ.

კონფლიქტმა გარკვეული სახის შესაძლებლობებიც გამოაჩინა ქვეყნისთვის და ერთგავრი მესიჯიც გააგზავნა სამიზნე ობიექტთან-ნატოსთან, როგორც საქართველოსთვის თითქმის უალტერნატივო თავდაცვის საშუალებასთან. მოვლენების სწრაფმა განვითარებამ ასევე დააჩქარა მხარეებს შორის არსებული გარემოცვის შეფასების პროცესი. გამოჩნდა ხელსაყრელი მომენტი, რომ თანამშროლობა საქართველოსა და ნატოს შორის, უფრო პრაქტიკულ დონეზე წარიმართოს და გამოყენებადი ფუნქციაც შეიძინოს ხისტი/რბილი ძალის წინააღდეგ.

კვლევის მთავარი მიზანია უპასუხოს შეკითხვას : რამდენად შესწევს უნარი „ერთის მხრივ ნატოს, ხოლო მეორეს მხრივ საქართველოს „გამოიყენოს „შესაძლებლობის ფანჯარა“<sup>1</sup> ინტეგრაციისთვის?

## ნატოს საპასუხო რეაქციები- სამხრეთ კავკასიის რეგიონში მიმდინარე მოვლენების ფონზე

ცალსახად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, *ნატოს მინისტრიალზე*, რომელიც ონალინ ფორმატში გაიმართა, საქართველოს და უკრაინის საგარეო-საქმეთა მინისტრების მიწვევაც. როგორც ნატოს, გენერალურ მდივანმა, იენს სტოლტენბერგმა [განაცხადა](#) შეხვედრის შემდეგ „ის ფაქტი, რომ ჩვენ გვაქვს შეხვედრა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან მინისტრიალის დონეზე, ნატო–ს ყველა მოკავშირის მიერ საქართველოსადმი, მისი ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი ძლიერი პოლიტიკური მხარდაჭერის დემონსტრირებაა“ რაც დადებითი მოვლენა იყო- სამეზობლოში არსებული დამაბულობის გათვალისწინებით.

აგრეთვე აღსანიშნავია, მინისტრიალაზე მიღებული გადაწყვეტილება რომელიც გულისხმობს „ნატო საქართველოს არსებითი პაკეტის“ გაძლიერებას. თანამშრომლობის აღნიშნულ ფორმატს საფუძველი ჩაეყარა 2014 წელს ნატო-უელსის სამიტზე, როდესაც ქვეყანამ მიიღო [„ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი“](#), დოკუმენტის მთვარ ამოცანებს წარმოედგენს „ქვეყნის თავდაცვის შესაძლებლობების განვითარება, ნატოსთან თავსებადობის ამაღლება და საქართველოს ალიანსში გაწევრიანების მზადების პროცესის ხელშეწყობა“. მინისტრიალზე დამტკიცდა შეთანხმების განახლებული ვერსია, [„Refreshed Substantial NATO-Georgia Package \(SNGP\)“](#) რომელიც უფრო მეტ მხარდაჭერას უზრუნველყოფს და ამასთანავე „ალიანსის

---

<sup>1</sup> [შესაძლებლობის ფანჯარა-](#) „გულისხმობს დროის მცირე მონაკვეთს , რომლის დროსაც გარკვეული სახის ქმედება უნდა განხორციელდეს რათა მივაღწიოთ სასურველ შედეგს“.

წვერი სახელმწიფოები, ცდილობენ მოინახონ სხვადასხვა გზები იმისათვის რომ უფრო გააღრმავონ საქართველოსთვის პრაქტიკული მხარდაჭერა“.

კიდევ ერთი,შეთანხმების მნიშვნელოვანი ელემენტი არის „ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის (Joint Training and Evaluation Centre - [JTEC](#)) არსებობა- რომელიც „უზრუნველყოფს მრავალეროვნულ წვრთნებსა და სწავლებებს, რის შედეგადაც საქართველოს, ნატო-სა და პარტნიორ ქვეყნებს შორის თავსებადობის ამაღლებას უწყობს ხელს“.

[JTEC](#)-ში აქტიურად მიმდინარეობს როგორც საველე ასევე სიმულაციური სწავლებები და განსაკუთრებული მიდგომაა, „ცენტრი ორიენტირებულია ინდივიდუალურ და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებაზე, ამოცანით მართვაზე და საერთო-საჯარისო მიდგომაზე“.



წყარო: [accentnews.ge](http://accentnews.ge)

თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა- არანაკლები ღირებულების სტრუქტურაა, რომელიც ხელს უწყობს „ეროვნული, რეგიონალური და საერთაშორისო კურსების მეშვეობით გამოცდილების და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას როგორც თავდაცვის, ასევე ფართო უსაფრთხოების სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის“. კურსების თემატიკაც საკმაოდ კარგად ესადაგება ქვეყნის ბუნებას: ეროვნული თავდაცვის უმაღლესი კურსი, ჰიბრიდული ომი და საინფორმაციო ომი, კიბერ უსაფრთხოების სემინარი და რეგიონალური სწავლებები. მიუხედავად იმისა რომ, JTEC და [DIBS](#), ახალი წამოწყებები არ არის , სამომავლოდ იგეგმება ამ ერთულებშიც უფრო გაღრმავდეს და მრავლისმომცველი გახდეს ურიერთობა.

*NATO-საქართველოს არსებითი პაკეტი 3 ახალი ინიციატივა დაემატა* მინისტრიალზე, რათა უფრო მეტად თავდაცვისუნარიანი და ოპერატიული გახდეს ქვეყანა და საჭიროების შემთხვევაში მომზადებული დახვდეს. [განახლებული ინიციატივები](#), ძირითადად ყურადღებას ამახვილებს შემდეგ მიმართულებებზე:

1. „სამხედრო სამედიცინო შესაძლებლობების განვითარება- რომელის შეძლებს, უპასუხოს როგორც შიდა, ასევე გლობალურ სამედიცინო გადაუდებელ შემთხვევებს“.
2. საქართველოში ინგლისურენოვანი ტრენინგების გაუმჯობესებას.
3. კოდიფიკაციისა და სტანდარტიზაციის სისტემის გაუმჯობესებას, თავდაცვის ახალი პროექტების / პროგრამების NATO-ს სტანდარტებთან მაღალ დონეზე თავსებადობას.“

მნიშვნელოვანია, „კომუნიკაციის სტანდარტების თავსებადობა. განსაკუთრებით იმ ფონზე, თუ გავითვალისწინებთ რუსეთიდან მომავალ საფრთხეებს, რომელიც კომუნიკაციებს, რაკეტებსა და შორი დამიზნების არტილერიას უკავშირდება“. აგრეთვე, როგორც [დავით ზალკაიამა](#) განაცხადა „იქ არის ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი კონკრეტული ელემენტი, მათ შორის *შავი ზღვის უსაფრთხოების კონტექსტში*“ რაც ერთმნიშვნელოვნად დამატებით ზრდის ქვეყნის ღირებულებას.



კიდევ ერთხელ ხასგასმით აღინიშნა, რომ საქართველო *აღიანსის ღირებულო პარტნიორია*. ცნობილია რომ საქართველოს მონაწილეობას იღებს საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში (ISAF, RSM- კოსოვო,ერაყი, ავღანეთი) რითაც ის

წყარო:[infocenter.gov.ge](http://infocenter.gov.ge)

მნიშვნელოვან როლს ასრულებს გლობალურ დონეზე მშვიდობის უზრუნველყოფასა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. აგრეთვე საქართველო [ჩართულია](#), „ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში (NRF – NATO Response Force)“.

2020 წლის 25 ნოემბერს, ექსპერტებმა შეიმუშავეს სპეციალური **დოკუმენტი „ნატოს 2030- გაერთიანებულია ახალი ეპოქისთვის“**, რომელმაც მომდევნო 10 წლის განმავლობაში არსებულ გამოწვევებს უნდა უპასუხოს და შესაბამისად ადაპტირდეს, უფრო მეტად მოქნილი არსებულ გამოწვევებს საპასუხოდ. ჩრდილოეთ ატლანტიკური ხელშეკრულების **„ფუნდამენტური პრინციპია ღია კარის პოლიტიკა“**, რომელიც აძლევს საშუალებას ევროპის დემოკრატიულ სახელმწიფოებს სურვილისამებრ შეურთდნენ ალიანსს და ეს მემკვიდრეობა თავისთავად უნდა შენარჩუნდეს. როგორც უელს მიტჩელმა „ამერიკის ხმასთან“ მიცემულ ინტერვიუში განმარტა „პრიორიტეტების და აქტივობების განსაზღვრა ხდება პარტნიორებისგან მომდინარე სიგნალებზე დაყრდნობით, და არა ნატოს მოთხოვნებზე დაფუძნებით“. ბუნებრივია, ორგანიზაციას აქვს გარკვეული სახის მოთხოვნები წევრობის ადრესტთან დაკავშირებით (სამხედრო და პოლიტიკური თავსებადობა), განსაკუთრებით საყურადღებოა გაფართოების პოლიტიკა და მისი კრიტერიუმები.

### **საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური პოტენციალის თავსებადობის მიმოხილვა**

ქვეყანას, რომელსაც სურს გახდეს ალიანსის წევრი, უნდა ფლობდეს დემოკრატიული ქვეყნისთვის დამახასიათებელ კულტურას ( ადამიანის უფლებების დაცვა, კანონის უზენაოსობის პატივისცემა..). საქართველოს ამ სეგმენტში კიდევ ბევრი დავალება აქვს შესასრულებელი, ისევე როგორც უკრაინას- „ის, რის გაკეთებაც საქართველოს და უკრაინას სჭირდება, ძირითადად შიდა მმართველობას უკავშირდება“. აღნიშნული მოთხოვნა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს, რადგან ის ქმნის საფუძველს და წარმოადგენს ერთგვარ გზავნილსაც ნატოსთვის, რომ უფრო მტკიცედ განაგრძოს მხარდაჭერა პარტნიორებისთვის „ნატოს და დასავლეთს მორალური სიციხადე უნდა ჰქონდეს



საქართველოსა და უკრაინაზე იმისთვის, რომ უფრო დიდი სტრატეგიული გადაწყვეტილება მიიღონ“. ანგარიში ნათლად ჩანს ნატოს ურყევი მხარდაჭერა და ზოგადი სამოქმედო გეგმა რომ „ნატომ უნდა გააძლიეროს პარტნიორობა უკრაინასა და საქართველოსთან როგორც დაუცველ დემოკრატიულ სახელმწიფოებთან, რომელთაც სურთ წევრობა. თუმცა მუდმივად იმყოფებიან რუსული წნეხის ქვეშ“. სხვადასხვა სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოში არსებული დემოკრატიული გარემო შემდეგნაირად გამოიყურება:

Table 1  
Eastern Europe 2019

	Overall score	Global Rank	Regional rank	I Electoral process and pluralism	II Functioning of government	III Political participation	IV Political culture	V Civil liberties	Regime type
Estonia	7.90	27	1	9.58	7.86	6.67	6.88	8.53	Flawed democracy
Czech Republic	7.69	32	2	9.58	6.79	6.67	6.88	8.53	Flawed democracy
Slovenia	7.50	36=	3=	9.58	6.79	6.67	6.25	8.24	Flawed democracy
Lithuania	7.50	36=	3=	9.58	6.43	6.11	6.25	9.12	Flawed democracy
Latvia	7.49	38	5	9.58	6.07	6.11	6.88	8.82	Flawed democracy
Slovakia	7.17	42	6	9.58	7.14	5.56	5.63	7.94	Flawed democracy
Bulgaria	7.03	47	7	9.17	6.43	7.22	4.38	7.94	Flawed democracy
Hungary	6.63	55=	8	8.75	6.07	5.00	6.25	7.06	Flawed democracy
Poland	6.62	57	9	9.17	6.07	6.11	4.38	7.35	Flawed democracy
Croatia	6.57	59	10	9.17	6.07	5.56	5.00	7.06	Flawed democracy
Romania	6.49	63	11	9.17	5.71	5.56	4.38	7.65	Flawed democracy
Serbia	6.41	66	12	8.25	5.36	6.11	5.00	7.35	Flawed democracy
North Macedonia	5.97	77	13	7.00	5.36	6.67	3.75	7.06	Hybrid regime
Ukraine	5.90	78	14	7.42	2.71	6.67	6.25	6.47	Hybrid regime
Albania	5.89	79	15	7.00	5.36	4.44	5.00	7.65	Hybrid regime
Moldova	5.75	83	16	6.58	4.64	6.11	4.38	7.06	Hybrid regime
Montenegro	5.65	84	17	5.67	5.36	6.11	4.38	6.76	Hybrid regime
Armenia	5.54	86	18	7.50	5.36	6.11	3.13	5.59	Hybrid regime
Georgia	5.42	89=	19	7.83	3.21	6.11	4.38	5.59	Hybrid regime

წყარო: [The Economist](#)



წყარო: [Freedom House](#)



წყარო: [BTI-Transformatio Index](#)

საერთო ჯამში, როგორც მონაცემებიდან ჩანს ქვეყნის საერთო დემოკრატიული მოსწრება ნაკლებად დამაკმაყოფილებელია ნატოს სტანდარტებთან მიმართებაში. (ქვეყნის სტატუსი კი, ჰიბრიდულს, გარდამავალს და სუსტ დემოკრატიულს შორის მერყეობს). შესაბამისად ქვეყნის უპირველესი, ამოცანაა **შიდა კონსოლიდაცია და დემოკრატიული მმართველობის განმტკიცება**. მიუხადავად იმისა, „რომ ქვეყნის ყველა დიდ პარტიას შორის საქართველოს ნატოში გაწევრიანებაზე თანხმობა არსებობს, როცა ნატოს წევრები ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს აკვირდებიან, ექვეები უჩნდებათ“ ამიტომ მხოლოდ კონსენსუსის არსებობა საკმარისი არ არის და მას ქმედითი ნაბიჯებიც უნდა ახლდეს თან. ოკუპირებული ტერიტორიების საკითხი, რუსეთის მიერ ვეტოს დადება საქართველოს ალიანსში გაწევრიანების თაობაზე და ახლა უკვე კრემლის გაზრდილი გავლენის სფერო და წარმომადგენლობა სამხრეთ კავკასიის რეგიონში, აგრეთვე დიდ გავლენას ახდენს საქართველოს 'პროფილის' შეფასებაზე და ხელისშემშლელ ფაქტორებს წარმოადგენს. რაც შეეხება, **სამხედრო კუთხით ჰარმონიზაციას, [ლუკ კოფმა](#)**, რომელიც გახლავთ ჰერიტიჯის ფონდის საგარეო პოლიტიკის კვლევების ცენტრის დირექტორი და საქართველოს ნატოში გაწევრიანების აქტიური მხარდამჭერი, ალიანსში ინტეგრაციის გზა 'სამხედრო კარიერას' შეადარა „ჯარში მომდევნო რანგზე დაწინაურება შენს პოტენციალზე დაყრდნობით ხდება და არა იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად მომზადებული ხარ ამ რანგისთვის ამ წუთას“ , ხოლო რაც შეეხება ქვეყნის მზადყოფნის შეფასებას ასეთ პასუხს გვთავაზობს „ზოგიერთ უკვე ნატოს წევრ **ქვეყანას, ბევრი რამით უსწრებს, იქნება ეს სამხედრო მზაობა, სამხედრო ბიუჯეტი, ქართული ჯარის შესაძლებლობები და სხვა. დიახ, ვფიქრობ, რომ ამ მხრივ საქართველო ალიანსის წევრობისთვის მზადაა“**. მისივე შეხედულებით, რუსი სამშვიდობოების არსებობას აზერბაიჯანში არ ექნება გავლენა ქვეყნის წევრობის მზაობაზე. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გზავნილი, პოლიტიკურ-თავდაცვით ჭრილში, **[ბენ ჰოჯესის](#)** განცხადებით „საქართველოს მთავრობამ რიგ საკითხებზე სერიოზული მიდგომა უნდა შეიმუშავოს. ქართველი სუპერ ჯარისკაცები ამას

იმსახურებენ". რაც შეეხება რიგ საკითხებს ის მოიაზრებს, ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას, მთავრობის მიდგომას თავდაცვისადმი და განმარტვას პირადი შეხედულების სახით რომ „რომ სამხედრო ნაწილი ამას აცნობიერებს, მაგრამ არ ვფიქრობ, რომ მთელი მთავრობა ამას აცნობიერებდეს. ყარაბაღში სომხეთის კოლაფსის ფონზე შემდეგი სახის შედარებას აკეთებს, რაც თავის მხრივ ლოგიკურია, „ამერიკული სისტემების კოპირება, ან მხოლოდ ამერიკული აღჭურვილობის ყიდვა ამას არ გადაწყვეტს. ნახეთ რა დაემართათ სომხურ ძალებს მთიან ყარაბაღში? – მათ საკმაო რაოდენობის რუსული აღჭურვილობა ჰქონდათ, მაგრამ ცუდად გაწვრთნილები და არადისციპლინირებული *იყვნენ, მათ არ გააჩნდათ ეფექტური მობილიზების პროგრამა, აზერბაიჯანის შესაძლებლობების და გეგმის თაობაზე არასრულყოფილი ინფორმაცია ჰქონდა და ამ ყველაფერმა მათი სწრაფად განადგურება გამოიწვია*“, ხოლო გზავნილის მთავრი იდეა და ამასათანავე მოწოდებაა რომ თავდაცვის სამინისტრომ შეიმუშაოს უსაფრთხოების, კონსტრუქციული გეგმა, რათა დაპირისპირების შემთხვევაში შეძლოს წინააღმდეგობა გაუწიოს აგრესორს.

მოკლედ, რომ შევაფასოთ ყოველივე ზემოთაღნიშნული, ნატომ თანამშრომლობის ფორმატს უფრო პრაქტიკული სახეს მისცა, გაიზარდა პოლიტიკურ-დიპლომატიური მხარდაჭერა. კვლევის მთავარ კითხვას რომ დავუბრუნდეთ, თუ რამდენად შესწევს უნარი საქართველოს გამოყენოს შესაძლებლობა, როგორც ზემოთ აღნიშნა - აქვს შესანიშნავი პოტენციალი, სამხედრო თვალსაზრისით განსაკუთრებით, ხოლო პოლიტიკურ გარემოს რაც შეეხება ბევრი ამოცანა არის შესასრულებელი. როგორც გამოიკვეთა რიგ საკითხებზე მუშაობის პასუხისმგებლობა საქართველომ დაოუკიდებლად უნდა აიღოს, (თავდაცვითი სისტემის და კოცეფციების შემუშავება, პოლიტიკურად სტაბილური გარემოს შექმნა). ხოლო, ნატოს მხირდან შანსის გამოყენებაზე- მან მიიღო მკაფიო სიგნალი, რომ სტრატეგიული გარემო შეიცვალა და უნდა ადაპტირდეს, ჩამოაყალიბა ახალი სამოქმედო გეგმა და მტკიცე მხარდაჭერა აღმოუჩინა საქართველოს სხვადასხვა სახის ინიციატივებით. თავისთავად, ალიანს აქვს შესაძლებლობა უმასპინძლოს

საქართველოს ჩრდილოეთ ატლანტიკურ ოჯახში, (სკეპტიკურად განწყობილი წევრების ჩათვლით) მაგრამ გარეკვეული მიზეზები ხელს უშლის ამ მიზანს. შემთხვევითი არ არის, საკვლევი კითხვის ფორმულირებაში 'ინტეგრაციის' გამოყენება- რომელიც, ყარაბაღის კონფლიქტის შემდეგ უფრო აქტიურ და პრაქტიკულ ფაზაში გადავიდა.

### ექსპერტთა მოსაზრებები საქართველოს სამომავლო სტატუსსა და გაწევრიანებაზე

გამოთქვა საყურადღებო მოსაზრებები ექსპერტთა მხრიდან, რომ საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პროცესი დაჩქარებულიყო, გადაეხედათ თანამშრომლობის ფორმატი და ემსჯელათ პოტენიურს სტატუსზე.



ევროპაში აშშ-ს სახმელეთო ძალების გენერალი, ბენ ჰოჯესი ამ მხრივ გამორჩეული ფიგურად ხასიათდება და მისი განცხადებით „საქართველოს ნატო–ში დაუყოვნებლივ გაწევრიანების თაობაზე მოსაწვევი უნდა გავუგზავნოთ“, რადგან აღნიშნულ ქმედებას აქვს სტრატეგიული მნიშვნელობა,

გამომდინარე იქიდან რომ „ეს კრემლამდე მიიტანს მესინჯს, რომ ეს რეგიონი აშშ-ს სტრატეგიულ ინტერესში შედის“ და აგრეთვე, „თუკი გვინდა, რომ დიდი ძალების კონფლიქტი თავიდან ავიცილოთ, დასავლეთმა სამხრეთ კავკასიაში უნდა იაქტიუროს, *სანამ გვაქვს ამის შანსი*“,რაც გარკვეულწილად ეხმიანება კვლევის თემატიკას გაღებული შესაძლებლობის ათვისების უნარზე. სამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი უნდა გადაიდგას „საქართველო უნდა იყოს ნატო–ში; შეერთებულმა შტატებმა მეტად უნდა გაამახვილოს ყურადღება კავკასიის რეგიონზე; აშშ–მა უნდა დაიწყოს ინფრასტრუქტურის მოწყობა, რათა საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო როტაციული ძალები რეგიონში უფრო ხშირად იყვნენ“.

მიტჩელიც თითქმის მსგავს გზავნილს აჟღერებს „რუსეთთან და ჩინეთთან გეოპოლიტიკურ კონკურენციას პოლიტიკური და იდეოლოგიური ხასიათიც აქვს, და არა მხოლოდ სამხედრო და მატერიალური“.

შავი ზღვის რეგიონი- სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ობიექტია, სადაც რუსეთი ზრდის გავლენას და ნატომაც შესაბამისად უნდა უპასუხოს.

ატლანტიკური საბჭოს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე, ნატოს გენერალური მდივნის ყოფილმა მოადგილემ, [ალექსანდერ ვერშბლუმ](#) განაცხადა, რომ გაწევრების გზის ფორმატის გამორკვევისას კარგი იქნებოდა უკრაინისა და საქართველოს მოწვევა „ასოცირებული წევრის სტატუსის შექმნით“. თუმცა, ამ ინიციატივას პოლიტიკურ წრეებში დისკუსია ნაკლებად მოჰყვა.

## დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ორივე მხარეს, ნატოსაც და საქართველოსაც, შესწევს უნარი მიაღწიოს სრულფასოვან ინტეგრაციას, თუმცა ეს უნდა განხორციელდეს საერთო ძალისხმევით, რადგან ხელისშემშლელი ფაქტორი არის გლობალური მოთამაშე- რუსეთი, რომელიც რეგიონში ფლობს მნიშვნელოვან პოლიტიკურ ბერკეტებს და სამხედრო პერსპექტივითაც წინა პლანზეა. ‘შესაძლებლობის ფანჯარა’, რომელიც გაიღო ყარაბაღის კონფლიქტის ფონზე თანამშრომლობა და ინტეგრაციის პროცესი ახალ ეტაპზე გადაიყვანა. სამხედრო კომპონენტის გათვალისწინებით საქართველოს მოსწრება და ნატოს სტანდარტებთან თავსებადობა -დადებითად ფასდება, ხოლო პოლიტიკური გარემოს გაანალიზებით იგივეს ვერ ვიტყვით. ამ მიმართულებით საქართველომ უნდა შეძლოს ეროვნულ დონეზე დემოკრატიული მმართველობის განხორციელება და ფუნდამენტური პრინციპების დაცვა. აგრეთვე, დამოუკიდებელი ინიციატივები უნდა შეუქმუშავოს თავდაცვითი სისტემის შესაქმნელად და გასაძლიერებლად.